ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 162

10 ივლისი
"___"_____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქალაქო სასამართლოს მიმდებარედ 27 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N 01.72.14.034.999) და ქალაქ თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩაზე მდებარე 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N 01.14.16.015.292) შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისისთვის" (ს/ნ: 205129617) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილების დანართი №1-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და მე-12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქალაქო სასამართლოს მიმდებარედ 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.999) და ქალაქ თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩაზე მდებარე 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.16.015.292) შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისისთვის" (ს/ნ: 205129617) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 27 ივნისის №18.441.722 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, საქალაქო სასამართლოს მიმდებარედ 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.999) და ქალაქ თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩაზე მდებარე 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N 01.14.16.015.292) შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისისთვის" (ს/ნ: 205129617) პირდაპირი განკარგვის

წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემაზე, გაზგამანაწილებელი სადგურის და გაზის აღრიცხვის მოწყობილობის ფუნქციონირების მიზნით, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით განსაზღვრული უსასყიდლო უზუფრუქტის პირობების შესაბამისად.

2.უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის ვადა განსაზღვრულია 2 (ორი) წლით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**